სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 22 აპრილი 2006 №90 (2712) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი ფსიქოლოგიაა

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

5

ადიდასმა კალთები არ დაგვახია. DIADORA მოდის

ინტერვიუ გოგი ქავთარაძესთან

6

ნბამბავი ახლა იწყება!

8

გერმანული მანქანა პირველად აქანა

მინგეს რჩევანი და შენი არჩევანი: გინდა ფული და კარგი კონტრაქტი?

იმუშავე!



ოთხშაბათს ქართველი ქომაგი გერმანულად მომართულ საქართველოს ნაკრებს პირველად იხილავს. მერე რა, რომ ახალგაზრდულს — ყველა ქართული ნაკრები ხომ ახლა ერთ, კლაუს ტოპმიოლერის თარგზე იჭრება.

თავად ჰერ კლაუსი ოთხშაბათს, გამთენიისას ბლატერთან ნასტუმრებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და გენმდივან უჩა უგულავას ჩამოჰყვება თბილისში. გერმანული დებიუტის ხილვის პატივი ზესტაფონელებს ხვდათ წილად და მათ სასარგებლოდ არჩევანი მინდვრის ხარისხთან ერთად ადგილობრივ ქომაგთა მხარდაჭერის იმედმაც გადაწყვიტა.

მალტა უნდა გავიაროთ. კუნძულელებთან მატჩში მოტივაცია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფური ეტაპის საგზური იქნება, საუკეთესოებმა კი ამ საგზურთან ერთად ეგებ ეროვნული ნაკრების თავკაცის გულიც მოიგონ. საამისოდ კი რალფ მინგეს ფილოსოფია მართლაც მისწრებაა: გინდა ფული და კარგი კონტრაქტი? იმუშავე ბევრი და იყავი დისციპლინიანი — მინგესთან დღევანდელ ინტერვიუში ყურადსაღები სხვაც ბევრი ითქვა და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი არც კონკრეტული ფეხბურთელების დასახელებას მორიდებია.

ზიზუ: ADIEU!

ზინედინ ზიდანმა და რეალმა ერთმანეთს ერთმანეთი აპატიეს



AFP

თანამედროვეობის უდიდესი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი ოთხშაბათს, 13 საათზე, საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს და ოფიციალურად განაცხადებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე კარიერას დაასრულებს — ესპანეთში გავრცელებულმა ამ ცნობამ გუშინ ევროპული სააგენტოები მოიარა.

თავიდან ვიფიქრეთ, ლაპარაკი ალბათ „ზიზუს“ საფრანგეთის ნაკრებიდან ხელმეორედ წასვლაზეაო, თუმცა...

„ზიდანს მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტის კიდევ ერთი წელი აკავშირებს, მაგრამ ორივე მხარის შეთანხმებით, „რეალი“ თანახმაა, ფრანგს ხელშეკრულება ვადამდე შეუწყვიტოს“ — იუწყებიან ესპანელები.

ზინედინ ზიდანი ოთხშაბათის პრესკონფერენციას მადრიდის „რეალის“ საწვრთნელ ბაზაზე გამართავს.

მომდევნო სარბიელი გამოვა სამშაბათს, 25 აპრილს

ქართველი ახალგაზრდების ნაკლი და ღირსება

26 აპრილს საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში მალტას მასპინძლობს ზესტაფონში. პირველ შეხვედრაში რალფ მინგეს გაწვრთნილმა ქართველებმა მალტელებს სტუმრად 2:1 მოუგეს და ჯგუფურ ეტაპზე გასვლის ძალიან კარგი შანსი აქვთ — თუ ჩვენი ახალგაზრდები მალტურ ბარიერს გადალახავენ, ჯგუფში ლიტვასთან და სერბეთთან მოუწევთ ბრძოლა.
მინგეს გუშინ შევხვდით და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, 26 აპრილის თამაშზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...

ფოტო: ფეხბურთელთა ეროვნული ასოციაციის

რალფ მინგეს განმარტებანი

— საამმატჩო სიას როდის გამოაცხადებთ?

— შაბათს საქართველოს ჩემპიონატის ტური რომ ჩამთავრდება, სიასაც მერე გამოვაქვეყნებ. „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედოს“ მატჩზე ვაპირებ დასწრებას.

— ახლანდელი სია მალტურისგან ბევრად განსხვავებული იქნება?

— ბევრი ცვლილება არ იქნება, შესაძლოა, სამი-ოთხი ახალი გვარი იყოს.

— მალტასთან პირველ მატჩში გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი დარჩით?

— რაც მეორე ტაიმში ვითამაშეთ, ის სასურველი არ იყო. თამაშის ხარისხი მომდევნო მატჩებში უფრო კარგად გამოჩნდება და სათქმელიც მეტი გვექნება.

— ამ მომენტისთვის ახალგაზრდული ნაკრების რომელ ფეხბურთელებს აქვთ ეროვნულ გუნდში მოხვედრის შანსი?

— ალბანეთში ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი მეორე დღეს მთავარი ნაკრების განაცხადში მოხვდა. ამით იმის თქმა მსურს, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში ძალიან მნიშვნელოვანია, ოცდაერთწლამდელების თამაშს ყურადღებით ადევნებს თვალყურს კლაუს ტოპმიოლერი. ამ მომენტისთვის კი, ვფიქრობ, ჯაბა კანკავა და ოთარ მარცვალაძე არიან ახლოს ეროვნულთან.

— მალტაში გაიმარჯვეთ და საპასუხო მატჩისთვის მოთამაშეთა მაქსიმალურად მოტივირება ძნელი ხომ არ იქნება?

— ჩვენ ვსაუბრობთ შედეგსა და ხარისხზე, მაგრამ უნდა გავიხედოთ მომავლისკენაც. მალტასთან მეორე მატჩი ბევრს განაპირობებს იმ მხრივაც, თუ რა გზას და რომელ ფეხბურთელებს ავარჩევ მომდევნო მატჩებისთვის. ასე რომ, 26 აპრილისთვის გუნდი საკმაოდ მოტივირებული იქნება.

— ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების მთავარ ნაკლად რას მიიჩნევთ?

— ფეხბურთელი სულ ჩართული უნდა იყოს თამაშში, მთელი 90 წუთი უნდა მუშაობდეს, ქართველი ახალგაზრდები კი ხანდახან კონცენტრაციას კარგავენ, მატჩში მხოლოდ 60 წუთი მუშაობა არაა საკმარისი. მსურს, ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები ჩემი გზით წავიყვანო — თუ გსურთ ფული და კარგი კონტრაქტი, ბევრი უნდა იმუშაოთ და მაღალი დისციპლინა უნდა გქონდეთ.

— და ქართველი ახალგაზრდების მთავარ ღირსებად რას მიიჩნევთ?

— ბევრს აქვს კარგი ტექნიკა, მაგრამ მოედანზე ფეხბურთელი მარტო არ უნდა იყოს — ბაზისი მთელი გუნდის ორგანიზებულობაა. მენტალიტეტსაც ვერ ავუვლიით გვერდს. მალტასთან მეორე ტაიმი პირველზე უარესად რომ ვითამაშეთ, ამაზე გუნდის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა თქვა, ეს ჩვენი მენტალიტეტის ბრალიაო.

— მენტალიტეტის შეცვლა, ალბათ, შეუძლებელი არ არის...

— ასეა და ამაზე ყოველდღე დიდი მონდომებით უნდა ვიმუშაოთ. პროფესიონალის მენტალიტეტის ჩამოყალიბება ფეხბურთელის ზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— მალტასთან პირველ შეხვედრაში ერთი ახალწვეულიც გყავდათ — რა აზრი დაგრჩათ დავით იმედაშვილის თამაშზე?

— მან ნორმალურად ითამაშა, ის კარგი მენტალიტეტის მქონე ფეხბურთელია, ვისაც რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში. იმედაშვილის მაგალითითაც კარგად ჩანს, რომ ნაკრებში მოხვედრის შანსი ყველას აქვს. მალტის ტურნირი, ამხანაგური მატჩი ალბანეთთან, შესარჩევი ეტაპის პირველი თამაში მალტასთან — ამ შეხვედრებში ბევრი ცვლილება იმიტომაც მოვახდინეთ, რომ შანსი ყველას მივეცით.

— 26 აპრილს მალტას ზესტაფონში ვუმასპინძლებთ — ეს თქვენი იდეაც იყო?

— დიახ, რადგან ზესტაფონის მინდორი საუკეთესოა საქართველოში და გვინდა, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა თავიანთი ტექნიკა დაუბრკოლებლად გამოიყენონ. გარდა ამისა, ზესტაფონში ბევრი მაყურებელიც დადის საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე და იმედი გვაქვს, რომ ისინი ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრაზეც მოვლენ — ბევრი მაყურებლის წინ თამაში ხომ ძალიან კარგია.

— ნაკრებში მანამდე არასდროს გიმუშავიათ — რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოს ოცდაერთწლამდელთა ნაკრების მწვრთნელობა?

— ეს ჩემთვის ახალი გამოცდილების მიღებაა და ძალიან მოტივირებული ვარ. ვფიქრობ, ნაკრებში მუშაობა უფრო რთულია, რადგან კლუბში გაცილებით დიდ დროს ატარებ ფეხბურთელებთან, ნაკრებში კი ცოტა დრო გაქვს. მოხარული ვარ, რომ გუნდში კარგი განწყობაა, ამას ვგრძნობ — ადმინისტრაციდან დაწყებული, მწვრთნელ-ფეხბურთელებით დამთავრებული, ნამდვილი გუნდური სული ტრიალებს. ფეხბურთელებთან ერთად ხშირად ვუყურებ მატჩების ვიდეოჩანაწერებს და ვამონტაჟებ კიდეც მათ. ეს ძალიან სასარგებლოა მწვრთნელისთვის.

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?

— არ მინდა ამის თქმა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თუ გული სათანადოდ არ ძგერს, ტალანტი მოკვდება, სულ ცეცხლი უნდა გენთოს, თუ გინდა, რომ რამეს მიაღწიო. ასეა ყველგან და არა მხოლოდ ფეხბურთში...

— ნიჭიერი ფეხბურთელების ნაკლებობა გერმანიის ეროვნულ ნაკრებსაც აწუხებს...

— ახლა უკვე ბუნდესლიგის ყველა გუნდს აქვს ახალგაზრდების აკადემია. ეს პროცესი ექვსი-შვიდი წელია, დაიწყო და შედეგი რომ მივიღოთ, დროა საჭირო — სამი-ხუთი წლის შემდეგ გერმანიაში გამოჩნდებიან ნიჭიერი ფეხბურთელები. ისინი ახლაც გვყავს — შვაინშტაიგერი, ლამი, პოდოლსკი, მერტესაკერი — მათ ზრდა ჯერ არ დაუსრულებიათ და დრო სჭირდებათ.

დავით თავართქილაძე

ინგლისი
მეორე ლიგა. XLIV ტური
ბრიმსბი 1:0 ჩელტენჰემი

გერმანია
II ბუნდესლიგა. XXXI ტური
ბოხუმი 1:2 ბურგჰაუზენი
მიუნხენი 2:0 კარლსრუე
პადერბორნი 3:1 ალემანია
სამხრეთ რეგიონალლიგა XXVII ტური
კობლენცი 0:0 ელვერსბერგი
შტუტგარტი (მ) 0:1 აალენი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა. I ტური
კტპ 2:1 ჰიკ

ბელგია
იუპილერლიგა XXXII ტური
ანდერლეხტი 2:0 სტანდარდი

ჰოლანდია
მეორე დივიზიონი
გადასასვლელი პლეი ოფი. A ჯგუფი. I ტური
ბრაბანსხაპი 1:1 ვენლო
ზვოლე 2:4 ტილბურგი
B ჯგუფი. I ტური
ოსი 0:0 ბრედა
ჰელმონდი 0:1 ვოლენდამი

პოლონეთი
პირველი ლიგა. XXVI ტური
კორონა 1:0 ვისლა

ირლანდია
პრემიერდივიზიონი
VII ტური
დუბლინი 1:2 ბოჰემიანსი
უოტერფორდი 0:0 ლონგფორდი
კორკი — სლიგო *გადაიდო*
დერი — დროჰედა *გადაიდო*

შპრაინა
უმაღლესი ლიგა
XXVII ტური
შახტარი 0:0 ვორსკლა

პორტუგალია
სუპერლიგა
XXXII ტური
გიმარაეში 1:1 ბოავიშტა

საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
XXXV ტური
ბრესტი 0:4 დიჟონი
შატორუ 3:1 გრენობლი
კრეტეი 1:1 ლორიანი
ლავალი 1:2 გენგამი
ლე ავრი 2:1 გენიონი
მონპელიე 1:0 კლერმონი
რეიმსი 2:0 სეტე
ვალანსიენი 1:0 ისტრი
ბასტია — კაენი *0:2-ზე ჩაიშალა*

ავსტრია
I დივიზიონი. XXIX ტური
აუსტრია (ლ) 1:1 ლეობენი
გრატკორნი 0:0 აუსტრია (მ)
კაპფენბერგი 1:2 ლინცერი
კერნტენი 0:1 შვანენშტადტი
კუფშტაინი 0:4 ალტახი

ხორვატია
I დივიზიონი. პლეი აუტი
VI ტური
ინტერი 1:0 ზაგრები

უნგრეთი
ბორსოდი ლიგა
XXIV ტური
ვაშაში 1:1 შოპრონი

გრიფით საიდუმლო
დაუწერელი კანონი თუ დაწერილი სია

მალტის ახალგაზრდულ ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩამდე ხუთი დღე დარჩა. იმის გათვალისწინებით, რომ 26 აპრილს ზესტაფონში ქართველები პირველ ოფიციალურ საშინაო შეხვედრას გამართავენ გერმანული სამწვრთნელო შტაბის ხელძღვანელობით, მატჩისადმი ინტერესი დიდია. სამწუხაროდ, ასეთ ვითარებაში ათასმეერთედ გვიწევს იმაზე წერა, რაც ათასჯერ დაგვიწერია ყველა ფორმაციის ფეხბურთის ფედერაციასთან, ნებისმიერი ნაკრების ნებისმიერ მწვრთნელთან მიმართებაში: ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიცავს საქართველოს ღირსებას 26 აპრილს.

ფეხბურთის ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციით, რალფ მინგე დღევანდელ ტურს დაელოდება და მხოლოდ ამის შემდეგ გაამჟღავნებს ნაკრების შემადგენლობას. იმის გათვალისწინებით, რომ ხვალ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, მედიისთვის, შესაბამისად კი, საზოგადოებისთვის ნაკრების შემადგენლობა უკეთეს შემთხვევაში ორშაბათს გახდება ცნობილი. მატჩამდე ამ დროს ორი დღეღა იქნება დარჩენილი...

საბოლოო ჯამში მთავარი, რა თქმა უნდა, შედეგია. ისიც გასაგებია, რომ რალფ მინგეს ჯერაც შესასწავლი აქვს ბევრი ფეხბურთელის შესაძლებლობები და საამისოდ ჩემპიონატის ყოველ შეხვედრას იყენებს. მაგრამ ხომ არსებობს ფიფას მიერ დადგენილი წესი, რომლის დაცვაც ნებისმიერ ვითარებაში სავალდებულოა?! როცა საქმე ლეგიონერებს ეხება, ნაკრებში გამოძახების ფურცელი ორი კვირით ადრე იგზავნება, ქართულ კლუბებში კი, როგორც წესი, ამის საჭიროება არ არის — ოღონდ მის რომელიმე ფეხბურთელს უხმონ და არც ერთი კლუბი არ ქმნის ხოლმე პრობლემას.

ჩვენი თხოვნა მარტივია: ნუ განვაგრძობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წლების განმავლობაში დამკვიდრებულ ტრადიციას, როცა მეტოქე გუნდის შემადგენლობას ქართველები გაცილებით ადრე ვიგებთ, ვიდრე საკუთარისას. თუკი სია დასაზუსტებელია, იმ რვა, ათი თუ თორმეტი ფეხბურთელის გვარ-სახელს მაინც ნუ გავასაიდუმლოებთ, რომელთა გამოძახებაც უკვე გადაწყვეტილია; ან სრული სია გამოვაცხადოთ და ისიც მივანიშნოთ, რომ მასში ცვლილებების შეტანა გამორიცხული არ არის. ამით კლუბებსაც გაუადვილდებათ საქმე და არც მედიას დასჭირდება უკრაინაში თუ რუსეთში მოთამაშე ჩვენს ლეგიონერებთან რეკვა, ნაკრებში დაგიძახეს თუ არაო.

ეროვნული ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ ფეხბურთელს კლუბისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით — ნაკრების წევრს და კანდიდატს. თუკი ფორმალობა დაცული არ იქნება და გამოძახების ფურცელი დროულად არ გაიგზავნება, რატომ ვართ დარწმუნებულნი, რომ, ვთქვათ, „სიონი“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ და სხვანი მენაკრეებეს უპრობლემოდ გაათავისუფლებენ? მათთვის მთელი სეზონის ნაღვაწი სწორედ დღეს იდება სასწორზე და საკლუბო ინტერესმა შესაძლოა სხვა ყველაფერი გადაწონოს.

კონკრეტულ შემთხვევაში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მალტასთან მატჩი ფიფას დღეს არ ემთხვევა. კლუბებს სრული უფლება აქვთ, დროულად გამოძახების შემთხვევაშიც კი ფეხბურთელი ნაკრებში არ მიავლინონ. კონკრეტული შემთხვევა არც გვქონია მხედველობაში — საქმე ზოგადად ამ საკითხისადმი მიდგომაშია.

გიორგი ნოზაძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ბალერი კიევლაძის ფოტო

ოლეგ ბლოხინი სადალაქოზე ოცნებობს

ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა კი განაცხადა, რომ სამუნდიალო შემადგენლობა ჯერჯერობით მხოლოდ 40 პროცენტითაა გარკვეული.

— სიმართლე გითხრათ, ფეხბურთელთა მომზადების დონე მაშფოთებს. შესაძლოა, რამდენიმე მოთამაშე ახალგაზრდული ნაკრებიდან დავიმატოთ, თუმცა არა მგონია, ბევრი ახალწვეული მყავდეს — ასეთი ერთი-ორი თუ იქნება. უკვე ვთქვი, რომ სულაც არაა აუცილებელი, გერმანიაში 23 ფეხბურთელი წავიყვანო. შეიძლება, 20 შევარჩიო, ან სულაც 17“ — ასეთი კომენტარი გააკეთა ბლოხინმა და ისიც დასძინა, რომ მოსკოვის „დინამოში“ გადასვლას არ აპირებს.

უკრაინის ნაკრების თავკაცმა, ჯგუფიდან გასვლა კარგი შედეგი იქნებაო, ხოლო თუ უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა... „თავს გადავიპარსავ!“ — ასეთია ბლოხინის პირობა.

ქახა შალამბერიძე

სიახლე ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO MIX *123#
ჯეო მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
ვინ ვინ
ს ა ფ ე ხ ბ უ რ თ ი ს
ფეხბურთის ანბანრიცხვში

SCORE LIVE

ბანკი ჯორჯია
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

27 ტური ანონსი

კომპასი დასავლეთისკენ

გაზნაკლული ბორჯომი და მოუღლელი სიონი

რაღა დარჩა 9 მაისამდე? ოთხად ოთხი ტური და მე-17 ეროვნული ჩემპიონატიც ჩაგვიპაჭუნებს თვალს. ჯერ არ ვიცით, რას მოგვიტანს ხვალინდელი რვა მატჩი, მაგრამ ორი ისეთი თამაშია ზედა პოლუსზე და რამდენიმე ისეთი ქვედაზე, რომ რაღაც საინტერესოს გვპირდება...

ბურაგი დოლიძეებაშვილის ფოტო

კომპასი ბორჯომისკენ გვიჩვენებს და აქედან დავიწყოთ: ვლადიმერ ხაჩიძის გუნდმა წინა მატჩი სენსაციურად წააგო აუტსაიდერ „სპარტაკთან“ და ახლა ლიდერ „სიონზე“ ილესავს კბილებს. თუ „სიონმა“ მოიგო, ბარემ მივულოცოთ ჩემპიონობა და ეგაა, თუმცა რომც ვერ იმარჯვოს, მაინც საეჭვოდ მოჩანს მდევარ „ვიტ ჯორჯიას“ პერსპექტივები.

ჩვენ კი გუშინ ორივე გუნდის ფეხბურთელებს ვესაუბრეთ...

იური გაბისკირია (ბორჯომი): მგონი, „სიონთან“ თამაშს კომენტარი არც სჭირდება. უეჭველად უნდა მოვიგოთ.

— წინა მატჩში მძიმე დარტყმა მიიღეთ „სპარტაკისგან“: ეს გუნდზე უარყოფითად არ იმოქმედებს?

— ასე არ ვფიქრობ. „ბორჯომი“ გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. სამწუხაროდ, მიხეილ მესხი დაგვაკლდება დისკვალიფიკაციის გამო.

— ბოლო თამაშებია, ბორჯომის სტადიონი მაყურებლებით სავსეა და ალბათ ახლაც ასე იქნება. ეს რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის?

— ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია. გულშემატკივრების გარეშე ფეხბურთი არ არსებობს.

მიხეილ ხუციშვილი (სიონი): „ბორჯომის“ თითქმის ყველა ფეხბურთელს ვიცნობ და მათი ძალა კარგად ვიცი. მშვენიერი გუნდია, თან, ბოლო დროს შინ ყველა მატჩს იგებს.

— ბორჯომში ფრე ცუდი შედეგი იქნება თქვენთვის?

— არა, ფრე კარგი შედეგი იქნება. მომდევნო ტურში საშინაო მატჩი გველის და იქ მოგებით, ფაქტობრივად, გავინაღდებთ ჩემპიონობას.

— რეალურად რომ შევხედოთ, „ვიტ ჯორჯიას“ თქვენი დაწევის შანსი აქვს?

— რეალურად მართლაც არა ჩვენი დამწევი, თუმცა გულხელდაკრეფილები არ ვართ. რაც უნდა იყოს, „ვიტ ჯორჯიას“ ერთადერთი რთული მატჩი „ბათუმთან“ დარჩა სტუმრად.

ბურაგი დოლიძეებაშვილის ფოტო



კაი თვალსასეირო თამაში ელის „ზესტაფონის“ ფანობასაც. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი მესამე ადგილზეა და ერთი საფეხურით ქვემოთ მყოფ „ბათუმს“ მასპინძლობს, რომელსაც მეორე წრეში მხოლოდ ორი ქულა დაუკარგავს და ისიც თითქმის ჩემპიონად გამოცხადებულ „სიონთან“.

საამმატჩო კომენტარები კი მწვრთნელებს ვთხოვეთ...

კობა ჟორჟიკაშვილი (ზესტაფონი): ჩვენთვის ყველა მატჩი გადამწყვეტია. ასე რომ, „ბათუმთან“ თამაშისთვისაც მთელი სერიოზულობით ვემზადებით. მეტოქე კარგად დაბალანსებულია ყველა რგოლში, იოლი მოგების ილუზია არ გვაქვს.

— „ზესტაფონი“ უფრო თასზე ხომ არ აკეთებს აქცენტს?

— არანაირად. ჩვენ ორივე ფრონტზე თანაბრად მოტივირებულები ვართ.

— დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი მოთამაშე დაგაკლდებათ...

— მართალია: სერგეი ნუდნი და ზურაბ ძმასაშვილი არ გვეყოლება. დანარჩენები კი ემზადებიან და რა გითხრათ, თამაში გვიჩვენებს ყველაფერს...

ოთარ გაბელია (ბათუმი): პირველი წრის შემდეგ ცხრილის შუაში ვიყავით და საკმაოდ ჩამოვრჩებოდით ლიდერებს, თუმცა მოულოდნელად გაგვიჩნდა ევროტურნირებზე გასვლის შანსი. მართალია, ხელმძღვანელობას ჩვენთვის ევროპაზე გასვლა არ დაუსახავს მიზნად, მაგრამ რეალობამ მოიტანა...

— „ზესტაფონის“ ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყვით?

— ჩემი აზრით, ამჟამად საქართველოში დაახლოებით შვიდი თანაბარი დონის გუნდია, თუმცა „ზესტაფონი“ მათ შორის მაინც საუკეთესოდ მიმაჩნია — მათ ჰყავთ ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდები და რამდენიმე ასაკოვანი ფეხბურთელი, თუმცა მე მოთამაშის პასპორტში არასოდეს ვიყურები.

— სრული შემადგენლობა გეყოლებათ?

— დისკვალიფიცირებული არავინაა, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმა აწუხებს.

თბილისი. 22 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

სპარტაკი — ამერი

მსაჯები: მ. მაისურაძე; ხ. გაგნიძე, თ. ხუჭუა; ა. გუნთაძე;
დამკვირვებელი: ს. კუტივაძე

ბორჯომი. 22 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

ბორჯომი — სიონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ლ. თოდრია, ზ. ფიფია; პ. დოგრაშვილი;
დამკვირვებელი: ვ. ეჯიბია

მცხეთა. 22 აპრილი. 16 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — ტორპედო

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; მ. ნაკაიძე, ზ. ერქვანია; ტ. არაბული;
დამკვირვებელი: მ. ჭელიძე

ზესტაფონი. 22 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — ბათუმი

მსაჯები: ლ. სილაგავა; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი;
დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

თბილისი. 22 აპრილი. 16 საათი. ოლიმპი

თბილისი — კოლხეთი

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; დ. კვეტენაძე, დ. კურტანიძე; კ. ჭაჭუა;
დამკვირვებელი: ო. რუხაძე

თბილისი. 22 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი

დინამო — დილა

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; გ. დოგრაშვილი, ზ. ხუციშვილი; დ. გიგაშვილი;
დამკვირვებელი: თ. ლორთქიფანიძე

გორი. 22 აპრილი. 16 საათი. ძართლი

ცხინვალი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. ორდინიძე; კ. ბერაძე, ზვ. ასკაროღლი; ზ. ასკაროღლი;
დამკვირვებელი: ა. ბაჩუკაშვილი

თელავი. 22 აპრილი. 16 საათი. გივი ჩოხელი

კახეთი — სოხუმი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ვ. გუმბერიძე, ზ. გურგენაძე; შ. ქუხილავა;
დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი

საინტერესო უნდა იყოს „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედოს“ მცხეთური შეხლაც.

ჯერ ერთი, ვიტელები გადაღლილები არიან ამდენი პრინციპული თამაშებისგან და მთლად ჯარგ განწყობაზეც ვერ დაუხვდებიან ქუთათურებს. მეორეც ის, რომ „ტორპედო“ ჯერაც საშიშ ზონაშია, ანუ გადარჩენისთვის იბრძვის. სხვა მხრივ კი, „ვიტ ჯორჯია“ რომ ძლიერია მეტოქეზე, ბავშვმაც იცის.

წინა ტურის სენსაციის ავტორი „სპარტაკი“ იმ „ამერს“ მასპინძლობს, რომელსაც ჩემპიონატიდან უეფას თასზე გასვლის მცირეოდენი შანსიღა შერჩა და უფრო თასისკენ იხედება: ფაქტია, გიორგი ჩიხრაძის გუნდი ბოლო დროს უფერულად თამაშობს, თუმცა „სპარტაკთან“ ფავორიტად როგორ არ ჩავთვალოთ?!

მით უმეტეს არ გვჯერა „დინამოს“ გორის „დილასთან“ წაფორხილებისა — ეს უკვე ნამეტანი იქნება ანდრეი ჩერნიშოვის გუნდისგან, რომელმაც წლეულს ვერც ერთ ძლიერ მეტოქეს ვერ მოუგო. ფაქტობრივად, ექვსქულიანი თამაშებია თელავის „გივი ჩოხელზე“ და თბილისის „ოლიმპზე“ — ერთგან „კახეთი“ „სოხუმს“ მიიღებს, მეორეგან კი „თბილისი“ ფოთის „კოლხეთს“...

და ბოლოს, თექვსმეტეულის ყველაზე უმოტივაციო გუნდი „ლოკომოტივი“ გორში ესტუმრება „ცხინვალს“ — რკინიგზელთა „ფორმას“ თუ გავითვალისწინებთ, სამაჩაბლოელებმა უნდა გაიმარჯვონ...

ილია ნანოგაშვილი

სიონი	26	20	4	2	46:16	64
ვიტ ჯორჯია	26	18	4	4	48:15	58
ზესტაფონი	26	16	6	4	38:19	54
ბათუმი	26	16	5	5	38:17	53
დინამო	26	16	4	6	44:19	52
ბორჯომი	26	16	2	8	45:24	50
ამერი	26	15	2	9	31:20	47
ლოკომოტივი	26	10	4	12	36:41	34
კოლხეთი	26	8	5	13	22:28	29
კახეთი	26	8	3	15	28:42	27
ტორპედო	26	7	6	13	26:34	27
დილა	26	7	4	15	28:37	25
ცხინვალი	26	7	3	16	25:51	24
სოხუმი	26	5	3	18	23:55	18
თბილისი	26	5	2	19	20:43	17
სპარტაკი	26	3	5	18	9:47	14

სპორტი ფსიქოლოგია

BEST&SKILFUL

გია გეგუჩაძე: ფეხბურთელები ამ ორი კრიტერიუმით უნდა შეფასდნენ

თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ დაახლოებით ერთი თვის წინ საერთაშორისო A კატეგორიის ლიცენზია აიღო უკრაინაში. გეგუჩაძე ჯერაც უმუშევარია, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, მომავალი სეზონიდან კვლავ შეუდგება მწვრთნელობას — მას უკვე ეპატიჟება რამდენიმე კლუბი, ქართულიც და უცხოურიც, თუმც ის ამ კლუბების დასახელებისგან ჯერ თავს იკავებს. გეგუჩაძეს მეტწილად ზოგად საკითხებზე ვესაუბრეთ...

გიორგი კობელაძის ფოტო

— A ლიცენზის აღება თქვენთვის უფრო ფორმალობა იყო თუ ცოდნის გაღრმავება?

— ორივე. საერთოდ კი, მთავარი ისაა, როგორ გამოვიყენებ დიპლომს. კიევში ბევრი ახალი და აუცილებელი რამ შევიძინე. ალბათ გახსოვთ, რომ შარშანწინ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო“ „სლავიასთან“ და „ვისლასთან“ სტუმრად მატჩებში გოლებს მატჩის მე-60-დან 75-ე წუთებამდე უშვებდა. ბევრს ვფიქრობდი, რატომ გვემართებოდა ასეთი რამ, მაგრამ ეს გამოცანა ვერ ამოვხსენი. ამის თაობაზე კიევში ფიზიოლოგს ვესაუბრე და მან მითხრა, მატჩის ამ მონაკვეთში ფეხბურთელების შრომისუნარიანობა კლებულობს და იგივე ხდება თამაშის 85-ე წუთის შემდეგაც. მისგან ისიც შევიტყვე, რომ საამისოდ ფეხბურთელებს შესვენებაზე სპეციალურ პრეპარატს ასმევენ — წყალში გასახსნელ აბებს, რომლის ფორმულაც, რა თქმა უნდა, ჩავიწერე. ამ ფიზიოლოგს გაუკვირდა, ეს ყველამ იცის და საქართველოში ამის შესახებ რატომ არ გაგიგიათო.

— პროფლიცენზიის აღებას არ აპირებთ?

— საამისოდ A ლიცენზიის აღებიდან, სულ მცირე, ერთი წელი უნდა გავიდეს და კარგი იქნება, თუ ეს წელიწადი უქმე არ გამოდგება ჩემთვის.

— დიპლომი მწვრთნელისთვის აუცილებელია, მაგრამ ყველა დიპლომიანი კარგი მწვრთნელი ვერ გამოდის — რა არის ის, რასაც დიპლომი ვერ იძლევა, ანუ თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს მწვრთნელს?

— ალღო, რომლის უკან ძალიან ბევრი რამ იგულისხმება. უნდა შეგეძლოს თამაშის აღქმა, უნდა გრძნობდე ვარჯიშს, დაინახო ისეთი ფეხბურთელიც, რომელიც არაა ტალანტი, მაგრამ მას ისეთი თვისებები აქვს, გუნდს რომ გამოადგება. ასე ვთქვათ, შიგნიდან უნდა იცოდე ფეხბურთი.

— შეიძლება, რომ შიგნიდან არ იცოდეს ფეხბურთი მან, ვისაც დიდი ფეხბურთი უთამაშია?

— დიდი ფეხბურთელობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთი შიგნიდან იცი — სულ სხვაა, როცა მოედანზე ხარ და სულ სხვაა, როცა ყველაფერს გარედან უყურებ.

— საფეხბურთო მეურნეობით და შედეგებით უკრაინა ჩვენზე ბევრად წინაა — სამწვრთნელო საქმიანობაში რა ასპექტებზე ამახვილებენ იქ ყურადღებას?

— თითქმის ყველა უკრაინული გუნდი იყენებს ვალერი ლობანოვსკის სტილს, მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს ეს და რა დოზით — ეს უკვე ძალიან რთულია. კიევის „დინამოშიც“ არ უნდათ, რომ ლობანოვსკის სტილს გადაუხვიონ, მაგრამ არც იქაა ამის გაკეთება იოლი. თუმცა ანატოლი დემიანენკომ ბოლო დროს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ამ მხრივ. დემიანენკოს გარდა სხვებიც არიან მომხრენი ლობანოვსკის სათამაშო მოდელისა, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა, რათა ლობანოვსკის სტილი შენც წარმატებულად განახორციელო.

— სტილის შენარჩუნება ან გადახვევა რამდენად მნიშვნელოვანია გუნდისთვის?

— საქართველოში არ არსებობს კლუბის ფილოსოფია. თუ რას ნიშნავს ეს, საამისოდ „ბარსელონას“ მაგალითს მოვიყვან. „ბარსელონაში“ ასეთი სათამაშო სტილის შექმნა იოჰან კრუიფმა დაიწყო. ახლა გუნდს სხვა მწვრთნელი ჰყავს, მაგრამ კლუბმა ზუსტად შეარჩია ისეთი მწვრთნელი, რომელიც გუნდში დამკვიდრებულ სათამაშო სტილს მოერგებოდა და ეს მწვრთნელიც ისეთ ფეხბურთელებს არჩევს, რომლებიც ამ სტილს ესადაგებიან. საქართველოში კი ძალიან ხშირად იცვლება კლუბის ფილოსოფია. ჩვენთან ისეც ხდება, რომ იქმნება ერთწლიანი თუ ორწლიანი გუნდები, არადა, კლუბის შექმნას მყარი საფუძველი სჭირდება. კლუბის ფილოსოფია წლობით ყალიბდება და ეს ფილოსოფია გუნდში მწვრთნელის შეცვლით არ უნდა იცვლებოდეს.

— საქართველოს მიმდინარე ერთოვნულ ჩემპიონატზე ვთქვათ — რა ტენდენციები დაინახეთ მასში?

— საქართველოს ჩემპიონატი ძალიან გაახალგაზრდავდა და ჭაბუკთა პირველობას დაემსგავსა, რაც არასწორია და ეს დადებითად ნამდვილად არ იმოქმედებს ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე. რაც შეეხება უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობას, ადრეც მითქვამს, რომ ამ ეტაპზე 16 გუნდი ბევრია და ათგუნდიანი ჩემპიონატი ყველაზე მისაღები იქნებოდა.

— თქვენს ყოფილ გუნდზე, თბილისის „დინამოზე“ რას იტყოდით?

— გული მწყდება, ასეთ მდგომარეობაში რომ არის.

— ამ ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონათ?

— „ვიტ ჯორჯია“, თუმც ამ გუნდსაც ჰქონდა ჩავარდნები. მეორე წრეში არ მინახავს „ზესტაფონი“ და „სიონი“.

— ნაკრებზეც გკითხავთ — შეგიძლიათ იმის პროგნოზირება, თუ როგორ ფეხბურთს ითამაშებს საქართველოს ნაკრები კლაუს ტოპმოლერის ხელში?

— ტოპმოლერს შემტევი ფეხბურთი რომ უყვარს, ეს ერთ-ერთი პლუსია, რადგან ასეთი სტილი კარგად ესადაგება ჩვენს ნაკრებს. ტოპმოლერის ხელში საქართველოს ნაკრების თამაში ჯერ არ მინახავს, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ტოპმოლერი სულ სამი შემტევით თამაშს ანიჭებს უპირატესობას. ასეთ დროს გუნდს უჩნდება იმის რწმენა, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია სამი თავდამსხმელით თამაში — ამას დადებითი მუხტი შეაქვს გუნდში, სპორტი ფსიქოლოგიაა.

— best და skilful— ფეხბურთელებს ამ ორი კრიტერიუმით რომ აფასებენ, ამაზე რა აზრის ხართ?

— ფეხბურთელების ასე დაყოფა მართებულად მიმაჩნია. best ანუ საუკეთესო ის ფეხბურთელია, ვინც ყველაზე სასარგებლოა, ხოლო skilful ის, ვინც ყველაზე უფრო გამოირჩევა ოსტატობით. შესაძლოა, best ამავე დროს skilful-იც იყოს.

— საქართველოს ნაკრების დაცვაში best არის კალაძე, ხოლო skilful ხიზანიშვილი — ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?

— ალბათ, მართლაც ასეა.

— და მთლიანად ნაკრებში ვის მიიჩნევთ best-ად და skilful-ად?

— best კობიაშვილია, skilful კი ასათიანი და არველაძე.

დავით თავართქილაძე

არასერიოზული კაცი

მოსკოვის „ლოკომოტივი“ ტრადიციულად ყოველი მატჩის წინ უშვებს სპეციალურ პროგრამას. ეს გახლავთ 44-გვერდიანი ფერადი საკლუბო ჟურნალი „ჩვენი ლოკო“, რომელიც საკმაოდ დიდი ტირაჟით ვრცელდება.

„ლოკომოტივი“ — „რუბინის“ მატჩის წინ მოსკოვურმა კლუბმა „ქართული ნომერი“ მოამზადა. გარეკანზე გიორგი ნოდარის ძე ჭელიჟის ფოტოა, მასთან ვრცელი ინტერვიუს გარდა კი კლუბის პრესსამსახურის წარმომადგენლებმა მათე ღინიანიძესთან, „ლოკომოტივის“ ექიმ ალექსანდრე იარდოშვილთან და ყოფილ რკინიგზელთან — ამჟამად ყაზანის „რუბინის“ წევრ მიხეილ აშვეთიასთანაც ისაუბრეს.

„სერიოზული მხოლოდ მოედანზე ვარ“ — ასეთია ჟურნალის წამყვანი მასალის სათაური, რომლის გმირიც, რაღა თქმა უნდა, „პაჭელოა“.

გიორგი ნოზაძე

საქართველოს პირველი ლიგა 17 ჩემპიონატი
მეორე წრე

XXX ტური

21 აპრილი, პარასკევი
მეშახტე 0:1 თბილისი 2
ჩიხურა 3:2 ვიტ ჯორჯია 2
მესხეთი 2:0 საგარეჯო
ლიახვი 0:1 ზუგდიდი
იმედი 0:3 მერანი
ამერი 2 0:3 გაგრა
ზესტაფონი 2 0:0 დინამო 2
მეშაქრე — გურია *შეწყდა*
22 აპრილი, შაბათი
მაღაროელი — რუსთავი

ჩიხურა	30	21	5	4	79:30	68
მერანი	30	20	5	5	50:21	65
გაგრა	30	17	9	4	42:18	60
დინამო 2	30	16	7	7	52:22	55
ამერი 2	30	14	7	9	37:24	49
მესხეთი	30	14	6	10	41:27	48
რუსთავი	29	13	8	8	44:28	47
მეშაქრე	29	14	4	11	39:29	46
გურია	29	12	5	12	41:38	41
ვიტ ჯორჯია 2	30	11	5	14	37:39	38
თბილისი 2	30	10	8	12	26:34	38
ზუგდიდი	30	10	7	13	18:26	37
მეშახტე	30	9	8	13	31:37	35
მაღაროელი	29	9	5	15	35:51	32
ზესტაფონი 2	30	8	8	14	22:40	32
საგარეჯო	30	7	8	15	26:40	29
იმედი	30	5	2	23	17:74	17
ლიახვი	30	4	1	25	21:80	13

ბორის პაიჭაძის ფოტო

ადიდასმა კალთები ნამდვილად არ დაგვახია

DIADORA

კონკრეტული გეგმით მოდის

ოთხშაბათს მთავრობის სხდომაზე კულტურისა და სპორტის მინისტრის გამოსვლამ კიდევ ერთხელ წამონია წინა პლანზე ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. ესეც არ იყოს, გაცხადდა ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული კონკურსის შედეგები და საინტერესო იყო ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია „ბორის პაიჭაძის“ ინვესტორის შესახებ.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ ამჯერადაც შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილა ჩვენი ინტერესი...

— ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, „დინამო ინვესტი“ ოპტიმალური ვარიანტია. რაც მთავარია, მივიღებთ იმ შედეგს, რომელიც ყველას გვსურს. ეროვნული სტადიონი ჩვენი ნაკრების საშინაო არენად ფინანსურადაც და სანახაობრივადაც უკეთესი ვარიანტია, ვიდრე „მიხეილ მესხი“. სასიხარულოა, რომ ფეხბურთის ფედერაციის, თბილისის მერიის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივმა ინიციატივამ რეალური შედეგი გამოიღო.

— თავდაპირველად ვიცოდით, რომ ინვესტორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სპორტკლუბი „დინამო“ უნდა ყოფილიყო. კონკურსის შედეგებით კი „ეროვნული“ 30-წლიანი მართვის უფლებით კერძო პირს გადაეცემა. ეს პრობლემებს ხომ არ შეგიქმნით მასთან ურთიერთობაში?

— პრობლემას ვერ ვხედავ. კერძო ორგანიზაცია გაცილებით უკეთ მიხედავს სტადიონს, რადგან ამაში მისი ფინანსური ინტერესებიც იქნება ჩადებული. კონტრაქტში მკაფიოდ იქნება განსაზღვრული „დინამო ინვესტის“ უფლებები და მოვალეობები, რაც ყოველგვარ გაუგებრობას გამორიცხავს.

— ფეხბურთის ფედერაციისა და „დინამო ინვესტის“ ურთიერთობა ალბათ ცალკე კონტრაქტით დარეგულირდება. ამ კუთხით კონსულტაციები თუ მიმდინარეობს?

— კონსულტაციები მიმდინარეობს და ძირითადი პრინციპებიც ცნობილია. შევთანხმდებით ბილეთების რეალიზების მექანიზმზე, თუმცა ამას გარდა სარეკლამო და საზკვების საკითხებიც იქნება მოსაწესრიგებელი. ისედაც ყველამ იცის, რომ ეროვნული ნაკრების მატჩებისას სტადიონზე რეკლამის განთავსების უფლება მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციას აქვს. გვაქვს იმის პრეტენზიაც, რომ ნაკრების თამაშებისას სტადიონზე კვების პროდუქტების, გამაგრილებელი სასმელების, სანაკრებო ატრიბუტიკის რეალიზება ჩვენი პრეროგატივა იყოს.

— „დინამო ინვესტთან“ შეთანხმება ყოველი კონკრეტული მატჩის წინ მოხდება თუ გრძელვადიან კონტრაქტს გააფორმებთ?

— აუცილებლად გრძელვადიანს. ჩვენი სურვილია, შეთანხმება ოთხხუთ წელზე იყოს გათვლილი შემდგომი გაგრძელების პერსპექტივით.

— სტადიონის რეაბილიტაციის პროცესში რამდენად იქნება გათვალისწინებული ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნები და წინადადებები?

— რა თქმა უნდა, არც ინვესტორი აპირებს, პირდაპირ მიადგეს სტადიონს და რეაბილიტაცია სხვათა მოსაზრების გაუთვალისწინებლად დაიწყოს. მინდვრის საფარი იქნება, სანიტარული ნორმები თუ სხვა საკითხები, ინვესტორი ჩვენთან შეთანხმებით მიიღებს გადაწყვეტილებას.

— პარალელურად „მიხეილ მესხზე“ ფედერაციის სახსრებით აპირებთ საფარის გამოცვლას. რკინიგზის დეპარტამენტთან თუ გამონახეთ საერთო ენა?

— აუცილებლად გვჭირდება მეორე სტადიონი როგორც ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების თამაშებისთვის, ასევე სხვადასხვა ასაკობრივი შესარჩევი ტურნირების სამასპინძლოდ. რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას კი უახლოეს დღეებში შევხვდებით კულტურისა და სპორტის მინისტრ გოკა გაბაშვილთან ერთად.

— ეს საკითხებიც ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემადგენელი ნაწილია. როდის ვიხილავთ პროგრამას დასრულებული სახით?

— ალბათ იცით, რომ ოთხშაბათს მთავრობის სხდომაზე, ფაქტობრივად, უკვე მოხდა ამ პროგრამის პრეზენტაცია. თუმცა ეს არ იყო საბოლოო ვარიანტი. დასრულებული სახით პროგრამა მზად დაახლოებით ერთ თვეში იქნება.

— ნაკრების შესაძლო ტექნიკური სპონსორის, „დიადორას“ წარმომადგენლები მომავალ კვირაში თბილისში ჩამოდიან. ეს იმას ნიშნავს, რომ „დიადორა“ ყველაზე რეალური ვარიანტია?

— პირადად მეც და ბევრ სხვასაც გვინდა, რომ ნაკრების ტექნიკური სპონსორი „ადიდასი“ იყოს, მაგრამ ამ ფირმის წარმომადგენლებს ჩვენთვის კალთები ნამდვილად არ დაუხევიათ. მათგან განსხვავებით, „დიადორა“ სერიოზულად დაინტერესდა ქართულ ფეხბურთთან პარტნიორობით და მზად არის, ჩვენი ოთხივე ნაკრები შემოსოს. თუ ხარისხით ვიმსჯელებთ, „ადიდასი“, რა თქმა უნდა, უნიკალურია და სპორტული ატრიბუტიკის ბაზარზე ლიდერია. რაც შეეხება დანარჩენებს, „დიადორა“ მათ დიდად არ ჩამოუვარდება და „ნაიკისა“ და „პუმას“ შემდეგ ალბათ მეოთხე-მეხუთე ფირმაა. „დიადორა“ ახალგაზრდა კომპანიაა, მის წარმომადგენლებს თბილისში ვიზიტისას აქაური ბაზრის შესწავლა და პერსპექტივაში მისი ათვისება სურთ. მზად ვართ, მოვუსმინოთ, მაქსიმალური ინფორმაციით უზრუნველყოთ და ალბათ არც საერთო ენის გამონახვა გაგვიჭირდება.

გიორგი ნოზაძე

შტურმელთა მაქინაციაში ეჭვი მეპარება

მუჯირს გოლიანი ყვითლები არ ადარდებს

რუსული „კრილია სოვეტოვის“ ქართველ ლეგიონერ დავით მუჯირი ყოფილ კლუბ „შტურმში“ სკანდალია: გუნდის მწვრთნელი მიხაელ პეტროვიჩი და ფეხბურთელი ბოინ ფილიპოვიჩი მაქინაციაში დაადანაშაულეს — სერბულ მაფიასთან ხართ კავშირში, მათ ტოტალიზატორში ფულის მოგებაში ეხმარებოდითო.

მუჯირს პირველ რიგში ამის გამო შევეხმიანეთ რუსეთში და გვითხრა, რომ იმ მატჩებში, რომელთა გასვრაში ბრალს სდებენ მწვრთნელ-ფეხბურთელს, მას არ უთამაშია...

— „შტურმში“ ბოლოს 13 თებერვალს ვითამაშე, ხოლო პეტროვიჩს და ფილიპოვიჩს 25 თებერვალს „აუსტრიასთან“ და 4 მარტს „ზალცბურგთან“ გამართულ მატჩებში ადანაშულებენ. მეეჭვება, ეს ბრალდება სიმართლე იყოს. მბრალდებლების ვერსიით, გარიგების თანახმად, „შტურმს“ ორივე მატჩი ისე უნდა წაეგო, რომ გოლი არ გაეტანა. „შტურმმა“ — „აუსტრიას“ 0:0 ეთამაშა, ხოლო „ზალცბურგს“ 4:0 მოუგო და პირველი გოლი ფილიპოვიჩმა გაიტანა. ისიცაა, რომ ავსტრიაში საქართველოს მსგავსად ტოტალიზატორების ბუმია და ათასი მითქმა-მოთქმა აქედანაც მოდის.

— „შტურმს“ შენი დავალიანება აქვს გასასტუმრებელი და საქმე სასამართლოში ირჩევა — ამ მხრივ რამე სიახლე ხომ არაა?

— არა, ეს ისეთი პროცესია, მალე არ დამთავრდება. მინდობილობა ჩემს ადვოკატს გადავეცი და პროცესს ის ესწრება. რუსეთიდან ავსტრიაში წამდაუწუმ ნამდვილად ვერ ვივლი, მთლიანად ფეხბურთისა და გუნდზე უნდა ვიყო გადართული.

— პრემიერლიგის წინა ტურში მოსკოვის „ტორპედოს“ პენალტი გაუტანე და ეს იმით აღნიშნე, რომ მაისური გაიხადე, საქართველოს დროშა გამოაჩინე. ამისთვის ყვითელი ბარათი გიჩვენეს და კვლავ აპირებ გოლის ასეთნაირად აღნიშვნას?

— თუ კიდევ გავიტან გოლს და თუ კიდევ გამაფრთხილებენ, ალბათ, ამის გამო არავინ მისაყვედურებს. იმედია, გოლებს კიდევ შევაგდებ.

დავით თავართქილაძე

ახალკაცი პირველკაცთან

ვიზიტი დროშის აღმართვით დაიწყება

სამშაბათს ფიფას შტაბბინაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსა და გენერალურ მდივან უჩა უგულავას მსოფლიო ფეხბურთის პირველკაცი იოზეფ ბლატერი უმასპინძლებს. ახალკაცი და უგულავა ბლატერს ერთხელ უკვე შეხვდნენ მოსკოვში, „თანამეგობრობის თასის“ გათამაშებისას. იმ, ასე ვთქვათ, „კონვეირული“ მიღებისგან განსხვავებით, 25 აპრილს საქართველოს დელეგაციისთვის საგანგებო მიღება გაიმართება, ფიფას შტაბბინის წინ ფლაგშტოკზე კი საქართველოს დროშა აღიმართება.

ბლატერთან ვიზიტის დასრულებისთანავე ნოდარ ახალკაცი და უჩა უგულავა ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერთან ერთად თბილისში დაბრუნდებიან, რათა ოთხშაბათს ზესტაფონში საქართველოსა და მალტის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩს დაესწრონ.

გიორგი ნოზაძე

ფეხბურთის კლუბი „ამერი“ თანაუგრძნობს
გუნდის მწვრთნელს ნუგზარ ბოჯგუას
დედის
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ „ამერის“
მწვრთნელს ნუგზარ ბოჯგუას
დედის
გარდაცვალების გამო



დი სტეფანო და სადამ ჰუსეინი

ვის ჩაუწვეგა დი სტეფანო ლოგინში?

საეჭვო და ყბადაღებული ვექილი ჯოვანი დი სტეფანო ფულის ირლანდიაში დაბანდებას ფიქრობს, საფეხბურთო კლუბის, „შელბურნის“ ყიდვა სურს. ამის შესახებ სააგენტო „როიტერს“ თავად დი სტეფანომ უამბო და დაუზუსტა, რომ თანხა, რომლის გაღებასაც აპირებს, მილიონი 240 ათასი დოლარია. გარდა ამისა ვექილი ბრძანებს, რომ დუბლინურ კლუბს ინგლისელ და იუგოსლავიელ ფეხბურთელებს უყიდის.

ახლა, ისა ვთქვათ, რატომ არის წარმოშობით ინგლისელ-იტალიელი ადვოკატი საეჭვო და ყბადაღებული პიროვნება. იმიტომ, რომ მის კლიენტთა შორის იყვნენ აშკარად უარყოფითი ადამიანები, მაგალითად სადამ ჰუსეინი და სლობოდან მილოშევიჩი.

— „შელბურნს“ შეუძლია ყოველ წელიწადს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს — უთხრა სატელეფონო ინტერვიუში დი სტეფანომ „როიტერის“ კორესპონდენტს — ამ კლუბს ოთხი-ხუთი მილიონი არ სჭირდება, ეს მისთვის დიდი ფულია. აქ, 10 ევროზე მეტის, მაგრამ ორ მილიონზე ნაკლების დახარჯვაა საჭირო“.

„შელბურნის“ აღმასრულებელი შეფი ოლი ბირნი:

;როდესაც ესა თუ ის ადამიანი შეხვედრას გთხოვს, ბუნებრივია ხვდები და უსმენ, მაგრამ შეხვედრა იმას არ ნიშნავს, რომ ლოგინში ჩაუწვები“.

დი სტეფანო: „ჩვენ თანამშრომლობაზე ვლაპარაკობთ. მისტერ ბირნის თანამდებობიდან გაშვებას არავინ აპირებს“.

„შელბურნი“ ირლანდიის 2003 და 2004 წლების ჩემპიონია, რომელიც ახლა ცხრილში მეხუთე ადგილზეა, ხოლო თავის დროზე ჩემპიონთა ლიგაში იმიტომ ვერ მოხვდა, რომ ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე „დეპორტივო ლა კორუნიამ“ აჯობა.

და ბოლოს, ვექილს ჰკითხეს, ხომ არ შეუშლის ხელს „შელბურნის“ მომავალს მისი რეპუტაცია. მან მიუგო:

„წმინდა ფრანსისკ ასიზელი (12-13 საუკუნეების იტალიელი რელიგიური მოღვაწე) ნამდვილად არ ვარ და ბევრ საკითხზე ჩემეული, სხვათათვის საკამათო შეხედულება მაქვს. შეჩვეული ვარ, რომ სადაც კი მახსენებენ, ყველგან ისეთი ამბავი ტყდება, გეგონება ლონდონის ცნობილი ხანძარი ხელახლა გაჩნდაო, მაგრამ თუ ეს მავანთ უკანალებს უცხელებს, პირიქით, კარგია“.

პაპუნა კედია

კაცი საუკუნე

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ზინედინ ზიდანი იმ ქალაქში ჩავა, სადაც კარიერა დაიწყო, ოღონდ ფირზე აღბეჭდილი — კანის ფესტივალზე კონკურსგარეშე წარდგენილი იქნება ფილმი „ზიდანი — 21-ე საუკუნის პორტრეტი“. რეჟისორები არიან დავლას გორდონი და ფილ პარენო.

როგორც ზიდანის ახლანდელი კლუბის, „რეალის“ ვებგვერდზე წერია, ფილმი 90 წუთიანია.

„ჩვენი მიზანი 21-ე საუკუნის ადამიანის პორტრეტის დახატვა იყო და რომ დავფიქრდით, ასეთად ზინედინ ზიდანი მივიჩნიეთ — ამბობენ ფილმის ავტორები — ის უამრავი ქომაგისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ ამასთანავე, ფეხბურთის მიღმაც დიდი ღირებულებების მატარებელ კაცად გვევლინება. ჩვენი ნაშრომი იმდენად დოკუმენტური ფილმი არ არის, რამდენადაც ფსიქოლოგიური პორტრეტი“.

პაპუნა კედია

იტალია

კაპელო რაღაცას იზამს

„იუვენტუსი“ „ლაციოს“ მასპინძლობს და ამ თამაშს იტალიურ პრესაში ლიდერის გამოცდა უწოდეს. რატომ? იმიტომ, რომ „ლაციო“ აღმავლობის გზაზეა, პრესასთან გაბუტულ „იუვენტუსს“ კი „მილანთან“ სხვაობა ხუთ ქულამდე შეუმცირდა.

პრესასთან „ბებერი ქალბატონი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „არსენალთან“ დამარცხების შემდეგ გაიბუტა, როდესაც იტალიურმა გაზეთებმა შავი დღე აყარეს. ყველანაირ კომენტარზე უარის თქმა ერთია და ჟურნალისტებისგან თავის საერთოდ დაღწევა მეორე და შეუძლებელი — ოთხშაბათს „გაძეტა დელო სპორტი“ „ბებერი ქალბატონის“ ვარჯიშს დაესწრო და ქვეყანას ფაბიო კაპელოს მრისხანების ამბავი უამბო. ქვემოთ ციტატები მოგვყავს. მწვრთნელი ფეხბურთელებს ასე მიმართავდა:

თუ ასე გაარძელებთ, შეგვიძლია სახლებში წავიდეთ....

შაბათს გოლი რომ არ გაიტანოთ, ვერც კი წარმოიდგენთ რას ვიზამ! ყოველ თამაშში ხუთ-ექვს მომეტს ქმნით და ბურთს კარში ერთხელაც ვერ აგდებთ...

და მართლაც, „იუვეს“ მთავარი პრობლემა თავდამსხმელების ცუდი ფორმაა. მაგალითად, ზლატან იბრაჰიმოვიჩს ყველა შეჯიბრება რომ დავუჯამოთ, 11 თამაშია გოლი არ გაუტანია, ხოლო დავიდ ტრეზეგეს 12-ში ორი აქვს შეგდებული. სასაცილოა, არა?

„ლაციო“ კი, როგორც მოგახსენეთ იშტაზეა და ზედიზედ ოთხი გამარჯვებით იწონებს თავს. რომაელთა იმედს აღვივებს მეტოქეთა პირველი შეხვედრაც — 0:0.

„იუვეს“ დისკვალიფიცირებული ჰყავს მაურო კამორანეზი, ჯულიანო ჯანიკედა და ემერსონი კი ბრუნდებიან. სტუმრებს უბრუნდება ვეტერანი ფორვარდი პაოლო დი კანიო.

„მილანი“ კი ბოლოდან მესამე ადგილზე მყოფ „მესინას“ ეთამაშება. ნეტავ რა მოხდება ამ თამაშში? ერთი მხრივ მილანელები ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩისთვის ემზადებიან და შეიძლება, „მესინას“ თავი არ შეაკლან, მეორე მხრივ კი, როგორც ვთქვით, „იუვე“ ბოლო ხანს ვერ ყოჩაღობს და კახა კალაძის გუნდიც ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს. უახლესი ისტორია გვახსენებს, რომ 2000 წლის გაზაფხულზე „იუვე“ ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე 5 ქულით უსწრებდა „ლაციოს“, მაგრამ ჩემპიონი რომაული გუნდი გახდა...

„ფიორენტინა“ „ემპოლის“ მასპინძლობს და საყოველთაო აზრით, ფლორენციელები ამ თამაშს მოიგებენ. „იები“ აქამდე მოსულან და ახლა გაატანენ ვინმეს ჩემპიონთა ლიგის საგზურს?

პაპუნა კედია

XXXV ტური

დღეს

ასკოლი	:	კალიარი
უდინეზე	:	კიევო
ფიორენტინა	:	ემპოლი
იუვენტუსი	:	ლაციო
მესინა	:	მილანი
ლივორნო	:	პალერმო
ინტერი	:	რეჯინა
რომა	:	სამპდორია
პარმა	:	სიენა
ლეჩე	:	ტრევიზო

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	იუვენტუსი		0:0	2:0	1:1	1:1		1:0		3:0	1:1	2:1	2:0	2:1	1:0	1:0	2:0	4:0	1:0	3:1	3:1	34	24	9	1	63	22	81	13	4	0	30	7	43	11	5	1	33	15	38
2	მილანი	3:1		1:0	3:1		2:0	4:1	2:1		4:3	3:0	1:1	1:0	5:1	2:1	3:1	1:0	4:0	2:1	5:0	34	24	4	6	75	27	76	16	1	0	46	12	49	8	3	6	29	15	27
3	ინტერი	1:2	3:2		1:0	2:3	3:1	1:0	3:0	5:0	2:0	4:1	1:0	1:0	3:1			3:2	3:0	3:0	3:0	34	22	5	7	61	26	71	15	0	2	42	12	45	7	5	5	19	14	26
4	ფიორენტინა	1:2	3:1	2:1		1:1	1:2	2:1	1:0	3:2	4:1		2:1	3:1	4:2		2:1	2:1	2:0	1:0	1:0	34	19	8	7	57	37	65	14	1	2	35	17	43	5	7	5	22	20	22
5	რომა	1:4	1:0	1:1	1:1		1:1	4:0	1:2	3:0	4:1	1:0		2:1	0:1	3:1	2:3	4:3	2:1	3:1		34	18	10	6	64	36	64	10	3	4	34	21	33	8	7	2	30	15	31
6	ლაციო	1:1	0:0	0:0	1:0	0:2		2:2	4:2	3:1		3:3	2:0	4:1	1:1	2:1	3:2	1:1	1:0		3:1	34	13	13	8	49	45	52	9	7	1	31	18	34	4	6	7	18	27	18
7	კიევო	1:1	2:1	0:1			2:2		0:0	2:1	1:0	2:2	1:1	1:1	2:0	4:0	4:1	2:1	2:0	3:1	0:0	34	13	12	9	49	42	51	9	7	1	29	13	34	4	5	8	20	29	17
8	პალერმო	1:2	0:2	3:2		3:3	3:1	2:2		0:2	4:2	2:2	0:2	1:1	2:0	1:0	1:3	2:2		3:0	1:0	34	11	13	10	46	47	46	7	5	5	29	26	26	4	8	5	17	21	20
9	ლივორნო	1:3	0:3	0:0	2:0	0:0	2:1	0:0			2:0	2:0		2:0	0:2	1:0	2:2	0:1	2:2	2:1	1:1	34	11	11	12	34	41	44	7	6	4	19	16	27	4	5	8	15	25	17
10	პარმა	1:2		1:0	2:4	0:3	1:1	2:1	1:1	2:1		1:0	1:1	0:0	1:2	4:0		1:0	1:1	2:0	1:1	34	12	8	14	42	52	44	7	6	4	22	18	27	5	2	10	20	34	17
11	ემპოლი	0:4	1:3		1:1	1:0	2:3	2:1	0:1	2:1	1:2		2:1		1:1	3:0	2:1	3:1	1:3	1:0	1:1	34	11	6	17	41	57	39	8	3	6	24	24	27	3	3	11	17	33	12
